წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2026 წლის 30 ივნისი

ქ. წალკა

„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ““ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №34 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 11/12/2017, 010260020.35.155.016245) დამტკიცებულ „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულებაში“ შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა (სამსახურის უფროსი) და სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან (განყოფილება).

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილება.“.

2. ამოღებულ იქნეს მე-5 მუხლი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან.

წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილი**